

XIX –XX საუკუნის დასაწყისის არქიტექტურა

XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის დასაწყისში არქიტექტურაში ჩამოყალიბდა ახალი სტილი, რომელიც მოდერნის სახელწოდებით გახდა ცნობილი. ახალი სტილი ლოგიკური შედეგი იყო იმ მოვლენებისა რომელიც ამ დროს ხდება მსოფლიოში. ტექნიკური თუ სხვა სახის მიღწევები არ შეიძლებოდა სიახლის მომატანი არ ყოფილიყო და ეს აისახა კიდევ ყველა სფეროში და მათ შორის არქიტექტურაშიც. ახალი სტილი, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე დაფუძნებული და გეგმარების ფუნქციონალურ პრინციპზე აგებული, უარს ამბობს ისტორიულ მემკვიდრეობაზე, ორნამენტზე, საერთოდ რაიმე დეკორზე. ძირითადად მსუბუქ კონსტრუქციებს, ლითონს და მინას იყენებს. პირველად ახალი სტილი ამერიკაში და ევროპაში გავრცელდა, იქიდან კი ყველგან მოიკიდა ფეხი.

ერთ ერთი უადრესი რკინის კონსტრუქცია ჯოზეფ პაკსტონს ეკუთვნის, რომელმაც 1891 წელს ლონდონში ააგო ე.წ. “ერისტალ პალასი” (სურ 1). აქ უკვე წამყვანია არა დეკორით მორთული მასიური კედლები, არამედ გამჭვირვალე მსუბუქი კონსტრუქცია. აგურის და ხის გამოყენების უარყოფამ სრულიად ახალი ესთეტიკა შემოიტანა არქიტექტურაში. წვრილ სვეტებზე დამყარებული შიშველი კონსტრუქცია , რომელთა შორის ღიობებს მინა ავსებდა იმდენად მსუბუქი და გამჭვირვალე იყო , რომ მისი მასშტაბური და მასიური “სხეული” თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. ლითონის კარკასმა და მინამ აგრეთვე საშუალება მისცა არქიტექტორებს შეექმნათ იმგვარი გადახურვა ისეთ ფართობზე(თუნდაც “ერისტალ პალასის” ნახევარწრიული ,კამაროვანი გადახურვა) რაც შეუძლებელი იქნებოდა სხვა საშუალებებით.

კიდევ ერთი თანამედროვე არქიტექტურის მონაპოვარი 1899 წელს გუსტავ ეიფელის მიერ შექმნილი რკინის კონსტრუქცია, პირადად ეხმაურებოდა იმ ტექნიციზმის მიღწევებს , რისი ბუმიც ევროპაში XIX ს-ის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იყო გამოფეხებული.

თუმცა ახალ ტექნიკურ საშუალებებს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფართო მოხმარების ასპარეზი. საცხოვრებელი სახლები ისევ ძველი ტრადიციული სტილით შენდებოდა. ძირითადად აგური, მოგვიანებით რკინა-ბეტონი. პირველი, რომელმაც ბეტონსა და რკინას შუშის კონსტრუქციები შეუსაბამა ფრანგი

ინჟინერი ფრანსუა ენებიკი იყო(1892 წ.). ბეტონის საფუძველზე დამყარებული ფოლადის კარკასი საშუალებას იძლეოდა ძალიან დიდ ფართობზე ერთიანი მინა გამოეყენებინა, ყოველგვარი შუალედური დამჭერი სვეტების გარეშე. კედლების კუთხეებიც კი მინის საშუალებით იქმნებოდა და არა ქვის, აგურისა თუ ხის დახმარებით.

ასე ამგვარად , თანდათან იკიდებდა ფეხს თანამედროვე სტილი ახალ ყოფაში და სანამ უშუალოდ საცხოვრებელ სახლებზე გადავიდოდა მრავალი გამოცდა გაიარა. პირველი რომელმაც მიღწეული შედეგები მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლზე განახორციელა, იყო ავგუსტ პერე (1903 წ. პარიზი). მან მევეთრად გამიჯნა ერთმანეთისგან რკინა-ბეტონის სტრუქტურული ელემენტები გარე კედლებისგან, რომლებიც არა კონსტრუქციული არამედ მხოლოდ დეკორატიული ფუნქციის მატარებელი იყო და ან მთლიანი ან ღიობებად დაყოფილი სარკმლებისგან შედგებოდა.

რკინაბეტონის კარკასმა შესაბამისად იტვირთა მზიდი კედლების ფუნქცია. იგი გაცილებით მსუბუქი იყო, ამავე დროს კი გაცილებით მეტი მასის შეკავება შეეძლო. პერეს სახლი 8 სართულიანი ნაგებობა იყო, რომელსაც დამატებითი ორ სართული შენობის წინა მხრიდან გამოშვებულ “მოედანზე” ქონდა.

პერეს სახლზე მაღალი და მეტად გამართული კონსტრუქციებით საცხოვრებელი სახლები აშენება შესაძლებელი გახდა მოგვიანებით ჩიკაგოში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 1871 წლის ხანძარმა თითქმის მთელი ქალაქი იმსხვერპლა. შედეგად კი არქიტექტორმა ვილიამ ჯენიმ კონსტრუქციული ნაწილები თუჯის მაგივრად ცეცხლგამძლე ფოლადით შეცვალა, შესაძლებელი გახდა ცათამბჯენების აგებაც .მიუხედავად იმისა რომ ნაგებობის პერანგი ჯერ კიდევ აგურით იყო შემოსილი, ფოლადი , მეტად მყარი და გამძლე მასალა უსაფრთხოების გარანტია იყო. ჩიკაგოში გამოიგონეს პირველი ლიფტიც.

ბერნჰეიმმა წარმატებით გამოიყენა ჯენის გამოცდილება და მიღწევები და ახალი სიტყვა თქვა საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში. მან ააგო 16 სართულიანი შენობა, რისი აგებაც ქვის კონსტრუქციებით სრულიად შეუძლებელი იქნებოდა. ჯენის მასიური ქვის ფასადის ნაცვლად ბერნჰეიმმა მეტად შეამსუბუქა შენობა და კედლები საკმაოდ ფართო და მაღალი სარკმლის ღიობებით დაანაწევრა.

დაახლოებით ამავე პერიოდში ევროპაში არტნუვო ყვავის (1890-1910). არტნუვოს არქიტექტორები, განსხვავებით პერესა და ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებისგან, დაინტერესებულნი იყვნენ არქიტექტურის, როგორც ფორმის სტილისტური გამოხატვით და არა სტრუქტურული სისტემით (თუმცა ალბათ მათი ინტერესები არანაირად არ უშლიდა ხელს არქიტექტურის ფუნქციურობას, მიუხედავად ფორმის პირველადობისა). არტნუვოს ცენტრები იყო ბარსელონაში, ბრიუსელში, პარიზში...მოგვიანებით კი მთელს ევროპაში გავრცელდა. იტალიაში ის თავისუფალი სტილის სახელით გახდა ცნობილი, გერმანიაში-იიუგენშტილი ჩამოყალიბდა, ესპანეთში –მოდერნიზმი და სხვ. ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ოტტო ვაგნერი, რომელიც ვენის რკინიგზის ავტორია(1894-1899) ,მან დააპროექტა ადრეული მოდერნის სტილში გადაწყვეტილი ვენის საფოსტო ბანკის შენობაც. გერმანელი ავგუსტ ენდელი, “ელვირა ფოტო სტუდიოს “ ავტორი (1996-1997), ყველაზე თვალსაჩინო არტნუვოს ნიმუში მაინც საკონდიტროა,რომელიც ჩარლზ მაკინტოშმა გლაზგოში ააგო. ამ დროს იქმნება ჯგუფი , რომელიც ჩამოაყალიბა ოლბრიჯმა, პოფმანმა და კლიმტმა ე.წ. “ვენის განხეთქილება”. რადგან მათი ნამუშევრები საკმაოდ დაშორებულნი არიან ვენის ხელოვნების აკადემიის ტრადიციებს და ახალ ნიადაგზე დგანან.

ამ პერიოდში მოღვაწეობს ფრანს ლოიდი ცნობილი “იმპერიალ პოტელის “ ავტორი (1915-1922). ვალტერ გროპიუსი-მასზე მხოლოდ ორიოდ სიტყვით შევჩერდები, რადგან ცალკე თემაც შეიძლება მიძღვნოდა, იმდენად ვრცელი და მომცველია მისი მოღვაწეობა. მან დაარსა 1919 წელს ბაუჰაუზის სკოლა ვაიმარში. ეს სკოლა ცდილობდა გაეერთიანებინა ხელოვნება დ არქიტექტურა, სწავლობდნენ უამრავ დარგს , არქიტექტურას , ფერწერას, ქანდაკებას...ასწავლიდნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანეს შემდგომ ხელოვნების განვითარების საქმეში, ესენი იყვნენ პოლ კლე, კანდინსკი ჰერბერტ ბეიერი და სხვები. 1924 წელს სკოლა დესაუში გადადის ხოლო 1926 წელს აგებული ბაუჰაუზის შენობა თანამედროვე არქიტექტურის სიმბოლოც კი გახდა.

(გროპიუსს და მასთან მეიერს ეკუთვნის აგერთვე უფრო ადრე აგებული ფაგუს ქარხანა (1911)) 1933 წელს, ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლის შემდეგ სკოლა დაიშალა, მასწავლებელთა უმეტესობა კი ამერიკაში გადავიდა სადაც ასევე დაუღალავად განაგრძობდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას და განხორციელებას.

გარდა მაგისა 1925 წელს იქმნება ახალი მიმდინარეობა არტდეკო, რომელმაც არქიტექტურაში დამკვიდრებულ ექსპრესიონიზმს(ექსპრესიონისტები ის არქიტექტორები იყვნენ , რომელბიც ტექნიციზმის მიღწევებისგან იმედგაცრუებულნი,იდეალურ ფორმებს ეძებდნენ და ცდილობდნენ არქიტექტურაში გადმოეცათ თავიანთი ემოციები და ცხოვრების არსს ჩასწვდომოდნენ-ესენი იყვნენ ძირითადად ჰანს ჰელცივა, ერიჰ მენდელსონი (ეკუთვნის კოშიკი პოსტდამში) მათთვის ძირითადად არქიტექტურული უტოპიები იყო დამახასიათებელი) ფუნქციონალური რაციონალიზმი დაუმატა. მისი წარმომადგენლები არიან ბრუნო ტოტი პიტერ ბერნსი და სხვ. არტ დეკოს სტილშია გადაწყვეტილი ვან ალენის მიერ 1930 წელს ნიუორკში აგებული 77 სართულიანი კრაისლერის შენობა. არტდეკოს არქიტექტორები ცდილობდნენ სასიამოვნო და მოხერხებული შეერწყათ ერთმანეთისთვის და ამავე დროს გარკვეული სტილისტური თავისებურებით გამოერჩიათ თავიანთი “ნაწარმი” ისინი აკეთებდნენ ასევე ლამფებს, მაგიდის სერვიზს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას და სხვა. შემდეგ კი მოდის ლეკორბუზიე და მნიშვნელოვნად ცვლის ეველაფერს...

გავრძელება იქნება